ოქმი:**ო63. 63232752**
თარიღი:**02/10/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N9

ქ. სამტრედია 27 სექტემბერი,

2023 წელი.

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მერაბ უღრელიძის, თავმჯდომარეობით ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მერაბ უღრელიძე,გოჩა არველაძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე, დავით ჯანელიძე, აკაკი მინაშვილი, ქეთევან კუტალაძე, გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა.

მოწვეული სტუმრები:

1.ააიპ ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“_ს დირექტორი - გოგი ხელისუფალი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“ ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235521 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: კომისიის თავმჯდომარე: მერაბ უღრელიძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით დამტკიცებულია წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, კომისიის წევრებს გააცნო არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“ ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-63.632235521 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ააიპ „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“ ითხოვს 2022 წლის 21 დეკემბრის # გ-63.632235521 განკარგულების დანართი N4-ში ცვლილების შეტანას, კერძოდ 2023 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით გაცემული შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ სპორტსმენთა ანაზღაურება დარჩეს პოზიციების მიხედვით, ხოლო ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით არსებული ფონდის ფარგლებში სპორტსმენთა დატვირთვის შესაბამისად იქნას გაფორმებული ხელშეკრულება.

კერძოდ,

დანართი N4

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ,,ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია”-ს ხელშეკრულებით აყვანილ სპორტსმენთა ანაზღაურება 2023 წწ.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ანაზღაურების 2023 წლის გეგმა -- 30,60 ათ.ლარი, ფაქტი 5 თვის - 16,90 ათ.ლარი, ოქტომბრიდან -დეკემბრის ჩათვლით გასაცემი - 13,70 ათ.ლარი.

#	დასახელება	შტატი	თვის განაკვეთი	ფაქტი იანვრიდან მაისის ჩათვლით
1	ინსაიდი	1	625	3125
2	ინსაიდი(2)	1	500	2500
3	გამთამაშებელი	1	500	1100
4	მეკარე	1	500	2500
5	კუთხე	1	500	2500
6	ხაზი	1	300	1500
7	მეკარე(2)	1	300	1500
8	კუთხე(2)	1	200	1000
9	კუთხე(3)	1	200	600
10	კუთხე(4)	1	200	600
	სულ	10	3825	16925

დასახელება	პერიოდი	ფონდი
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ანაზღაურება	ოქტომბერი. ნოემბერი. დეკემბერი.	13675 ლარი

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის წევრთა (9) ხმით მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი შევიდეს ბიუროს დღის წესრიგში განსახილველად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა

კომისიის სხდომის თავმჯდომარე: /მერაბ უღრელიძე/

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

მერაბ უღრელიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა კომისია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული
ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი